

ქ.თბილისი

2017 წლის 19 ოქტომბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2017 წლის 19 ოქტომბერს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, სულხან სულხანიშვილი, ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს მეთვალყურეთა თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის მომართვა, მატჩის მეთვალყურის თ. სახლთხუციშვილის ოქმი და თანამსაჯის ლ. ადუაშვილის მოხსენებითი ბარათი, ამა წლის 15 ოქტომბერს, რეგიონალური ლიგის კალენდარულ მატჩზე, თელავის „თელავი“-სა და თბ „სტუ“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

შემდეგი დისციპლინარული დარღვევა :

- 1 თბ „სტუ“-ს მწვრთნელი ირაკლი გიორხელიძე - მატჩის ოფიციალური პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.4, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი № 1 -ის 1.4 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. თბ „სტუ“-ს მწვრთნელი ი. გიორხელიძე დისკვალიფიცირებული იქნას 1(ერთი) წლით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 2000(ორი ათასი) ლარით.
2. დისკვალიფიცირებული მწვრთნელის მიერ სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 2.1.19 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში მის კლუბს დაეკისრება ამავე პუნქტით გათვალისწინებული სანქცია.
3. თბ „სტუ“-ს მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1 - ის 1.4 პუნქტი და თბ „სტუ“-ის, რეგიონალურ ლიგაში დააკლდება 10 (ათი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/